პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 7 (167) 10 მაისი 1962 წელი


## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები


განყოფილება პირველი

93. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საერთაშორისო სტალინური პრემიების „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინურ პრემიებად გადარქმევის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულების 3 მუხლის დამატების შესახებ.

განყოფილება მეორე

94. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. კავუნისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

95. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. პ. პოლიშკოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

96. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შორეულ აღმოსავლეთის სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ა. ა. ციმეკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

97. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ვ. მირონოვას „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

98. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. ზ. ბირიუკოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

99. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პოეტ ნ. ლ. ბრაუნის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნებას სიგელები გადასცა მაროკოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. ელ-ფასიმ.

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

100. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის ამხ. ი. მ. ხოხლოვის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.

## განყოფილება მეორე

101. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ფალავასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**93 „საერთაშორისო სტალინური პრემიების „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინურ პრემიებად გადარქმევის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულების 3 მუხლის დამატების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაემატოს 1957 წლის 10 ივნისის ბრძანებულების რედაქციით მიღებულ „საერთაშორისო სტალინური პრემიების „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინურ პრემიებად გადარქმევის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 6 სექტემბრის ბრძანებულების 3 მუხლს (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 14), შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„ნება დაერთოს საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტს იმ ლაურეატების თხოვნით, რომლებმაც „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო პრემია მიიღეს 1957 წლამდე, შეცვალონ საერთაშორისო სტალინური პრემიების დიპლომები და ოქროს სამკერდე მედლები „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიების ლაურეატების დიპლომებზე და ოქროს სამკერდე მედლებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 2 მარტი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**94 ამხ. ვ. მ. კავუნისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ**

საკოლმეურნეო წარმოების უნარიანი ხელმძღვანელობის, მიწების რაციონალური გამოყენების, დიდ ფართობებზე მარცვლეულის, პარკოსნებისა და ტექნიკური კულტურების მაღალი და მყარი მოსავლის მიღებისათვის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავ-

მჯდომარეს ამხ. ვასილ მიხეილის ძე კავუნს მიენიჭოს **სოციალისტური შრომის** გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 თებერვალი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 95 ამხ. ი. პ. პოლიშკოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თავდადებული შრომისათვის, ღორების მსხვილჯგუფური სუქების ორგანიზაციის საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ოდესის ოლქის ტარუტინოს რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კრასნის“ მეღორე-მექანიზატორს ამხ. ილია პანკრატის ძე **პოლიშკოს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ური“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 თებერვალი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 96 შორეულ აღმოსავლეთის სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ა. ა. ციმეკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავისა და საწარმოო და სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავის გამო, სატყეო მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის შორეულ აღმოსავლეთის სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რუსეთის სფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ადოლფ ანტონის ძე **ციმეკი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 97 ამხ. ზ. ვ. მირონოვას „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და ხანგრძლივი უმწიკვლო მუშაობისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ამხ. ზოია ვასილის ასული **მირონოვა** დაჯილდოებულ იქნას **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 98 მწერალ ნ. ზ. ბირიუკოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად მწერალი ნიკოლოზ ზოტის ძე **ბირიუკოვი** დაჯილდოებულ იქნას **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 თებერვალი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 99 პოეტ ნ. ლ. ბრაუნის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად პოეტი ნიკოლოზ ლეოპოლდის ძე **ბრაუნი** დაჯილდოებულ იქნას **„საპატიო ნიშნის"** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საშემოდგომო ხორბლის, სიმინდის, ბარდის, შაქრის ჭარხლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღებისათვის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 28 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

**ლენინის ორდენით** დაჯილდოებულია 2 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 7, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 10 და მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 13 კაცი.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა მაროკოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. ელ-ფასიმ

ა/წ 3 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო მაროკოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აბდელქებირ ელ-ფასი, რომელმაც გადასცა თავის რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდა საელჩოს პირველი მდივანი ო. ბენშაკრუნი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის 1 განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ი. ს. სპიცკი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ნ. კოლიჩევი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვებით მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ა. ელ-ფასის. საუბარს ესწრებოდა ი. ა. მალიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**100** **რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის ამხ. ი. მ. ხოხლოვის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ამხ. ივანე მიხეილის ძე **ხოხლოვი** საქართველოს სსრ მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 1 მარტი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**101** **ამხ. ა. ნ. ფაღავასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ამხ. აკაკი ნესტორის ძე **ფაღავას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 6 მარტი.